

ირინე ნაჭყებია

გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

ევროპელ მოგზაურთა თვალით დანახული თბილისის მოსახლეობა (1903-1925 წლები)

აბსტრაქტი

სტატიაში წარმოდგენილია ევროპელ მოგზაურთა ცნობები თბილისის მოსახლეობის ეთნორელიგიური შემადგენლობის შესახებ XX საუკუნის პირველ მეოთხედში. ისინი ეკუთვნით ფრანგ მოგზაურებს – ედუარდ ალფრედ მარტელს (1903), კლოდ ანეს (1905), ჰერცოგინია ერმინი დე როან-შაბოსა (1909) და მორის რონდე-სენს (1913). ამ პირთა მოგზაურობის დროს საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში იყო. 1917 წლის რევოლუციის დროს ექიმ ლუი დარტიგის ხელმძღვანელობით თბილისში საფრანგეთის ჯანდაცვის მისია ჩამოვიდა. 1919 წელს, საქართველოს პირველი რესპუბლიკის დროს თბილისში იმყოფებოდნენ ინგლისის დაზვერვის ოფიცერი პოლკოვნიკი სერ ალფრედ „ტობი“ როულინსონი და ბრიტანელი ჟურნალისტი კარლ ერიკ ბექჰოფერ რობერტსი. 1925 წელს, უკვე საბჭოთა საქართველოში, თბილისს ფრანგი პედაგოგი და პროფკავშირული მუშაკი მორის ვულენსი ეწვია.

საკვანძო სიტყვები: თბილისი, ედუარდ ა. მარტელი, კლოდ ანე, ერმინი დე როან-შაბო, მორის რონდე-სენი, ლუი დარტიგი, ალფრედ როულინსონი, კარლ რობერტსი, მორის ვულენსი

ფრანგ მოგზაურთა ცნობები თბილისის მოსახლეობის შესახებ (1903-1913 წწ.)

ალფრედ მარტელი – ფრანგი გეოგრაფი და ფრანგული სპელეოლოგიის ფუძემდებელი, 1894-1905 წლებში რუსეთის იმპერიის სოფლის მეურნეობისა და სახელმწიფო ქონების მინისტრის, ალექსეი ერმოლოვის ინიციატივითა და ნიკოლოზ II-ის (1894-1917) დასტურით რუსეთის შავი ზღვის სანაპიროს განვითარების მიზნით მიიწვიეს. ამ მოგზაურობის შთაბეჭდილებები ფრანგმა მეცნიერმა 1908 წელს გამოაქვეყნა. თბილისის შესახებ მარტელი წერს: „დიდებული თბილისი ძალიან ხშირად აღუწერიათ... (...). ამ საოცარი ქალაქის მომხიბვლელობის გამოსახატად არც კალამი მეყოფა და არც ქაღალდი. ამ ამოცანას პიერ ლოტის¹ დავუტოვებ. კონსტანტინოპოლისა თუ მოსკოვის მსგავსად, საქართველოს მეტროპოლია მოგონებაში იმ ერთ-ერთ ოცნებად რჩება, რომლის განსაზღვრაც შეუძლებელია. იქ ყველაფერი გაოცებას და აღფრთოვანებას იწვევს და მართლა არ იცი, რა თანამიმდევრობით ჩამოთვალო

¹ ლუი-მარი ჟიულიენ ვიო (1850-1923), ცნობილი პიერ ლოტის ფსევდონიმით, საზღვაო ოფიცერი იყო, რომელსაც ეკუთვნის რომანები ეგზოტიკური ქვეყნების შესახებ.

მისი ყველა ღირსება“. თბილისზე საუბრისას მარტელი პირველ ადგილს ბოტანიკური ბაღის ხედს ანიჭებს, საგანგებო ყურადღებას უთმობს თბილისის გეოლოგიურ აგებულებას, არ ახსენებს ახალი ქალაქის ევროპულ ნაწილს, მაგრამ აღწერს ქალაქის ძველ ნაწილს – ბაზარს, მეტეხის ეკლესიის ინტერიერს და შეცდომად მიიჩნევს მეტეხის ხიდის მახლობლად მდებარე ქაშანურით მორთული პატარა სპარსული მეჩეთის მაღაზიად გადაქცევას. თბილისის მოსახლეობის შესახებ იგი წერს: „დაბოლოს, ეთნოგრაფია: ქუჩები, ბაზარი, კოსტიუმები. შეამოწმა კი ვინმემ, როგორც ამას აცხადებენ, რომ თბილისში სამოცდაათ ენაზე ლაპარაკობენ? ნებისმიერ შემთხვევაში, თათრის ბაზარი (თათრის მეიდან – E.-A. M.)² კოსმოპოლიტიზმის ჭეშმარიტი ბაბილონია: რა ჩამოთვლის ტიპებს, რასებს, იდიომებს, – ქულებს, იარაღს, სამოსს, – ხელობებს, ურმებს, ცხოველებს, რომლებიც ერთმანეთს ეჯახებიან და ჩოჩქოლს იწვევენ ბაზრის ფარდულებსა და ჩარდახებს შორის, გირლანდებით მორთულ ქართულ ვერანდებთან, ხალიჩებით მოფარდაგებულ თუ სამკაულებით მორთულ დუქნებთან, ტიკებით მოჩარჩოებული ღვინის მაღაზიების ზღურბლებთან. ეს ყოველივეს გადასაღებად გიზიდავს. მოგზაური ამაზე უარს ამბობს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ამ განუმეორებელი ორიგინალობის ნაგებობის სრულად აღსაქმელად ის საღამოს ბედავს თვალის უკანასკნელად შევლებას იმ არეულობისთვის, რომელსაც ქარვასლის ეზო ჰქვია. მოკლედ, ასეთია 1903 წელს ზოგიერთი მშრალი შთაბეჭდილება საოცარი თბილისის შესახებ. შევძლებ კი ოდესმე მისი მსგავსის ნახვას!³“

განსხვავებული ვითარება იყო 1905 წლის გაზაფხულზე, როდესაც რევოლუციის დროს, 30 აპრილს, ბათუმიდან თბილისში ევროპელ მოგზაურთა ჯგუფი ჩამოვიდა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ვლახეთის ყოფილი გოსპოდარის ვაჟი, პარიზში დამკვიდრებული ცნობილი ავიატორი და სპორტსმენი – პრინცი გეორგ-ვალენტინ ბიბესკუ, მისი მეუღლე პრინცესა მარტა ბიბესკუ – პარიზის მაღალი საზოგადოების თვალსაჩინო ქალბატონი, პრინცი ემანუელ ბიბესკუ, რუმინეთის პარლამენტის წევრი მიჰაი ფერეკიდი და მისი მეუღლე მარია, რუმინელი სპორტსმენი ლეონ ლეონიდა. მათ ახლდათ სამი მექანიკოსი – შვეიცარიელი კელერი, ფრანგი ეჟენი და რუმინელი გიორგი. მათი მიზანი ორი მერსედესიტა და ერთი ფიატით ირანში გამგზავრება იყო.

იმჟამად თბილისში არსებულ ვითარებას ამ ჯგუფის ერთ-ერთი წევრი, ფრანგი ჟურნალისტი კლოდ ანე აღწერს. მისი ცნობით, მოგზაურები თბილისში სასტუმრო „ლონდონში“ გაჩერდნენ. ვინაიდან მომსახურე პერსონალი გაფიცული იყო, სასტუმროს იცავდნენ და მოგზაურებს ემსახურებოდნენ პოლიგლოტი

² თათრის მოედანი (ქვემო, ციხის, ბაზრის, სამხედრო, 1958-იდან – ვახტანგ გორგასლის მოედანი) – თბილისის ერთ-ერთი პირველი მოედნის გვიან (XVIII ს.) შერქმეული სახელი. - თენგიზ კვირკველია, *ძველთბილისური დასახელებანი* (თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1985), 17.

³ Edouard-Alfred Martel, *La côte d'Azur russe (Riviera du Caucase). Voyage en Russie méridionale, au Caucase occidental et en Transcaucasie (Mission du gouvernement russe, 1903). 388 Gravures, 34 planches et coupes et 1 cart en couleurs s'après les photographies et relevés de l'auteur* (Paris: Librairie Ch. Delagrave, 1908, 236, 240.

ჯარისკაცები, რაც ანეს თქმით, მათი ჯგუფის მიმართ გუბერნატორის⁴ დელიკატურ ყურადღების შედეგი იყო. კლოდ ანეს ოდესაში დაბადებული გერმანელი ემსახურებოდა.

ჟურნალისტის ცნობით, თბილისი, რომელშიც 200,000 სული ცხოვრობდა, არ იყო მოქცეული ისეთ ალყაში, როგორშიც ბათუმი, ქუთაისი და გორი. გაფიცვის მიუხედავად, აღდგომის საღამოს ძველ ტაძარში შუადამის წირვა მიმდინარეობდა. ქუჩებში კაზაკების პატრული დადიოდა, შეზარხოშებული ჯარისკაცების ერთი ნაწილი ბალებში დაეხეტებოდა. საფრანგეთის კონსულის, შაიეს თანხლებით, მოგზაურები ქარვასლას ესტუმრნენ, სადაც ცოტა ხნის წინ ჩამოსულ სპარსელ ვაჭრებს თავიანთი საქონელი ჰქონდათ გამოფენილი. კლოდ ანემ ყურადღება მიაქცია, რომ სპარსელებს დახვეწილი, მუქი და გამხდარი სახეები, მათ უფროსს, წვეროსან მოხუცს კი ოპიუმის მწვევლის მაგვარი გრძელი და გამომშრალი თითები ჰქონდა.

ანეს ერთ-ერთმა თანამგზავრმა, პრინცმა ჟორჟ ბიბესკუმ გამყოფად ჩერქეზი ჰასანი დაიქირავა, რომელსაც მათთვის ირანში მოგზაურობის დროს თარჯიმნობა უნდა გაეწია და რომელსაც, სავარაუდოდ, რუსული, სპარსული და ფრანგულიც უნდა სცოდნოდა. მარტელის მსგავსად, ანეს დაინტერესდა, მართლა თუ ლაპარაკობდნენ თბილისში სამოცდაათ ენაზე, როგორც ამას გერმანელი მეცნიერი ამბობდა⁵.

მოგზაურებს რამდენიმე სარეკომენდაციო წერილი ჰქონდათ და საყოველთაო გაფიცვის მიუხედავად, თბილისელები მათ მეტად გულთბილად იღებდნენ. გოლოვინის პროსპექტზე მდებარე დიდ თეატრში ისინი ორჯერ დაესწრნენ სპექტაკლებს – ოპერეტად არანჟირებულ შტრაუსის „Coquin de Printemps“-ს⁶ და „საფო“-ს⁷, რუს რეჟანად⁸ წოდებულ იავორსკაიას⁹ მონაწილეობით. ამის გამო ანე

⁴ გრაფი ილარიონ ივანეს ძე ვორონცოვ-დაშკოვი (1837-1916) – რუსი სახელმწიფო და სამხედრო მოხელე, გენერალ-ადიუტანტი და კავალერიის გენერალი, მეფისნაცვალთა კავკასიაში 1905-1916 წლებში. უშუალოდ თბილისის გუბერნატორი 1899-1905 წლებში ივან ნიკოლოზის ძე სვეჩინი (1863-1930) იყო.

⁵ როგორც ჩანს, კლოდ ანე იცნობდა 1901 წელს გამოცემულ სერ ჰენრი ნორმანის თხზულებას, რომელშიც ავტორს გერმანელი ეგვიპტოლოგის, ჰაინრიხ კარლ ბრუგმის (1827-1894) ეს მოსაზრება მოჰყავს: „ბრუგმს თუ დავუჯერებთ, თბილისში 70 ენაზე საუბრობენ“. – Sir Henry Norman, *All the Russias; travels and studies in contemporary European Russia, Finland, Siberia, the Caucasus, & Central Asia* (London: William Heinemann, 1901), 202. – ჰენრი ნორმანის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ სრულად ინგლისურიდან თარგმნა ნათია მეჩითიშვილმა, რედაქტორი გიორგი სორდია. <https://www.academia.edu/40780334>

⁶ იოზეფ შტრაუსის (1827-1870) გარდაცვალებიდან 30 წლის შემდეგ მის ცნობილ მელოდიებზე შეიქმნა ოპერეტა „Coquin de Printemps“ („კეკლუცი გაზაფხული“), რომელიც 1903 წელს პირველად ვენაში დადგეს. მას საფუძვლად დაედო ადოლფ ჟენესა და ჟორჟ დიუვალის ამავე სახელწოდების ვოდევილი, ლიბრეტო ეკუთვნით კარლ ლინდაუსა და იულიუს ვილგელმს.

⁷ იგულისხმება ფრანგ მწერალ ალფონს დოდეს (1840-1897) რომან „საფოს“ (1884) მიხედვით დადგმული სპექტაკლი.

⁸ გაბრიელ რეჟანი (1856-1820) – ცნობილი ფრანგი მსახიობი ქალი.

⁹ ლილია იავორსკაია (1871-1921), ცნობილი რუსი მსახიობი. რუსი პუბლიცისტის, დრამატურგისა და მწერლის, თავად ვლადიმირ ბარიატინსკის (1874-1941) მეუღლე.

ირონიით წერს: „თბილისი. – ბოლო დღეები კავკასიაში. თეატრები გახსნილია. ამისთვის მადლობა გადავუხადოთ რევოლუციონერთა კომიტეტებს“.

ფრანგი ჟურნალისტის აზრით, საყოველთაო გაფიცვა, პირველ რიგში, პოლიტიკური იყო, რასაც „მოხერხებული ხალხი“ – სოციალ-დემოკრატები, აგრეთვე რუსი, ქართველი და სომეხი რევოლუციონერები იყენებდნენ თავიანთი მიზნებისთვის¹⁰.

ამ მოვლენებიდან ოთხი წლის შემდეგ, 1909 წლის ივნისში, საქართველოში ჩამოვიდნენ ერმინი დე როან-შაბო – პარიზის მაღალ საზოგადოებაში ცნობილი პიროვნება, საფრანგეთის პერისა და მეთერთმეტე ჰერცოგის, ალენ შარლ ლუი დე როან-შაბოს, მეუღლე და მისი ერთ-ერთი ქალიშვილი მარი – პრინც ლიუსიენ მიურას¹¹ მეუღლე. მოგზაურები სასტუმრო „ორიანტში“ დაბინავდნენ. თავისი სიძის ცნობებზე დაყრდნობით ერმინი დე როანი წერს, რომ თბილისში 1905 წლის ნოემბერში ქალაქში მიმდინარე ბრძოლებისა და ტერორის დროს მრავალი სახლი გადაიწვა, ლუსიენმა ეს სასტუმრო „საფრანგეთის საკონსულოდ აქცია და თავისი თანამემამულეები ამგვარად დააყენა ეროვნული დროშის დაცვის ქვეშ“.

ფრანგი ქალბატონი თბილისს მომაჯადოებელ დედაქალაქს, კავკასიის მარგალიტს და კეკლუცი ბუნებით გარშემორტყმულ არწივის ბუდეს უწოდებს. თბილისის აღმოსავლურ უბანში მისი ყურადღება მიიპყრეს გრძელ ხიფთანიანმა, მდიდრულად ჩაცმულმა სპარსელებმა, ფართო სამოსში გამოწყობილმა დოლბანდიანმა მუსლიმმა სეიდებმა და მოლებმა, თავგადაპარსულმა თათრებმა ქამარში გარჭობილი ხანჯლებით, დაუდევრად ჩაცმულმა სომხებმა და ყველა ჯურის შეიარაღებულმა მთიელებმა. ცხენოსნები, ფეხით მოსიარულეები, ძლიერ დატვირთული მეზარგულები, ცხენები, ჯორები, ვირები – მთელი ეს ჭრელი, ხმაურიანი ორომტრიალი ოსტატურად მოძრაობდა, ამ უბანს სრულიად არაჩვეულებრივ სიცოცხლეს ანიჭებდა, იმ თვალისმომჩრელ სანახაობასა და ხიბლს ქმნიდა, რომელსაც მოგზაური თბილისში განიცდიდა. აღმოსავლურ ბაზარში სპარსელები მედიდურად ისხდნენ თავიანთი დუქნების წინ და მშვიდად ეწეოდნენ. მათ გვერდით არც ერთი ქალი არ ჩანდა: ისინი ოდნავ გადაწეული ფარდიდან ხედავდნენ ყველაფერს, მაგრამ, ჭკვიანები და ფრთხილები, ისეთივე გულმოდგინებით იმალებოდნენ, როგორითაც უსმენდნენ. ბოსტნეულისა თუ თევზის გამყიდველ ქართველ კაცებს სურსათი თავზე შემოდგმული სინებით დაჰქონდათ. როგორც ჩანს, ერმინი დე როანი კინტოებს გულისხმობს.

XIX საუკუნეში საქართველოში მოგზაურ ევროპელთა მსგავსად, ქართველების სამოსს ერმინი დე როანმაც მიაქცია ყურადღება. იგი აღნიშნავს, რომ ლუსიენის თვალწარმტაცი ღია ყავისფერი *ჩერქეზკა*, ბანალური რედინგოტისაგან განსხვავებით, ბევრად უფრო მოხდენილი იყო, ბეწვის ქუდი კი – ცილინდრზე უფრო ელეგანტური. მისი თქმით, სილამაზით ცნობილ ქართველ ქალს მუქი

¹⁰ Claude Anet, *Les Roses d'Ispahan – La Perse en automobile à travers la Russie et la Caucase. A la princesse Georges Valentin Bibesco et à Madame Michel Charles Phérékyde je dédie respectueusement le récit d'un voyage dont elles ont partagé avec moi, et ennobli, les émotions* (Paris: Société d'Édition et de Publication, Librairie Félix Juven, 1907), 87-89, 97, 102, 105.

¹¹ ლიუსიენ მიურა სალომე დადიანისა და აშილ მიურას უფროსი ვაჟი იყო.

კულულები, შუბლზე შავი ხავერდის სარტყელი, მაქმანის ვუალი და შლეიფიანი მოქარგული კაბა მას სიარულს არისტოკრატიულ ღირსებას ანიჭებდა¹².

1908 წელს საფრანგეთის ვაჭრობის სამინისტრომ საგარეო ვაჭრობის საკითხებში მრჩეველს, მორის რონდე-სენს, საზღვარგარეთ არსებული ფრანგული სათვისტომოების მდგომარეობის შემოწმება დაავალა, რომელთა წევრები საფრანგეთის იდეების, ზნე-ჩვეულებების, ენისა და პროდუქციის გამავრცელებელი ყველაზე საიმედო შუამავლები იყვნენ. ამ დავალების შესასრულებლად მან თითქმის მთელი მსოფლიო მოიარა, 1913 წლის ზაფხულში კი, პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე ერთი წლით ადრე, საქართველოს ეწვია.

მორის რონდე-სენი წერს: „თუ არ გახსოვთ, რომ V საუკუნეში დაარსებული უძველესი თბილისი 1795 წელს სპარსელებმა დაანგრეს, რის შედეგადაც საქართველოს მეფე დავითმა თავისი ქვეყანა 1799 წელს გადასცა რუსეთს¹³... გაკვირვებული და თითქმის იმედგაცრუებული იქნებით იქ ახალი ქალაქის ხილვით; მისი ყველაზე თანამედროვე ნაწილი, რომელიც ულამაზესი გამოზირებისგან შედგება, ევროპის დიდი ურბანული აგლომერაციების ყველა ღირსშესანიშნაობას მოიცავს და აი, პროგრესი – ციგურებით სრიალსა და ფუნიკულიორსაც კი, საიდანაც კავკასიის დიდი მეტროპოლიის ულამაზესი პანორამა იშლება; დღეს იქ 300,000 სულია¹⁴: ამ ანტიკური ქალაქის სიძველეს, რომელშიც დღეს ძირითადად ფრანგული მარკების უამრავი მანქანა მოძრაობს, მხოლოდ მტკვრის თავზე აღმართული ღრმომოჭმული სახლები, პრიმიტიული მცურავი წისქვილები და ქედზე მდებარე ძველი ქართული ციხესიმაგრის ნანგრევები შეგახსენებენ, რომლებიც სპარსულ კვარტალს გადაჰყურებენ“.

მორის რონდე-სენი თბილისის ტიგელს¹⁵ უწოდებს, რომელშიც მრავალი რასის წარმომადგენელი – სომეხი, თათარი, სპარსელი, ებრაელი, ქართველი, მეგრელი, მოსკოველი ანუ რუსი, ბერძენი, ქურთი, თურქი, ოსი, ჩერქეზი, XIX საუკუნის დასაწყისში ჩამოყვანილი დიდი კოლონიის შთამომავალი გერმანელი და

¹² Herminie de Rohan, *Les Dévoilées du Caucase; Notes de Voyage. A Son Altesse, La Princesse Salomé Murat qui m'a fait ouvrir avec une grace sans pareille les portes de son modestes lignes merveilleux Caucase, je dédie ces modestes lignes*, (Paris: S.d.,) 65-68.

¹³ დავით ბატონიშვილი (1767-1819) ქართლ-კახეთის სამეფოს გამგებელი გიორგი XII-ის გარდაცვალების შემდეგ, 1801 იანვრიდან ივნისამდე იყო. მაგრამ რუსეთის იმპერიის წარმომადგენლებმა სამეფო სახლის წევრებს შორის არსებული წინააღმდეგობა კიდევ უფრო გაამწვავეს, რამაც უფრო დააჩქარა ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება, რომელიც რუსეთმა 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტით შეიერთა. დავითი შეეცადა სამშობლოში დარჩენას და მმართველობაში მონაწილეობის მიღებას, მაგრამ 1803 წელს სამეფო ოჯახის სხვა წევრებთან ერთად იგი პეტერბურგში გადაასახლეს.

¹⁴ 1913 წელს თბილისის სახეზე მყოფი მოსახლეობა 344,000 შეადგენდა (ვახტანგ ჯაოშვილი, საქართველოს მოსახლეობა XVIII-XX საუკუნეებში. დემოგრაფიულ-ეკონომიკური გამოკვლევა. „მეცნიერება“, თბილისი, 1984, 107). 1913 წლის სხვა მონაცემებით, თბილისის მოსახლეობა დაახლოებით 304,000 სული იყო და ასე ნაწილდებოდა: 125,000 სომეხი, 65,000 რუსი, 54,000 ქართველი, სხვა ეროვნების წარმომადგენელი 60,000 სულზე მეტი იყო; (Г. А. Цитович, *Храмы армии и флота. Кавказский военный округ. Тифлис* (Пятигорск: Типо-литография А. П. Нагорова, 1913), 398-399).

¹⁵ ტიგელი – ცეცხლგამძლე ჭურჭელი, რომელშიც ადნობენ ან ახურებენ სხვადასხვა მასალას, ნივთიერებას.

მრავალი სხვა ირეოდა. ებრაელები, რომელთა რიცხვი 12,000-15,000 შეადგენდა ბევრს ვერაფერს აღწევდნენ და უმეტესწილად ღარიბებად რჩებოდნენ. ამის მიზეზი ის იყო, რომ მათ პირისპირ სავაჭრო ბრძოლისთვის უკეთ შეიარაღებული ორი ერი იდგა: სომხები და სპარსელები. თბილისში ხშირად ამბობდნენ: „ერთი სომეხი სამ ებრაელს, ერთი სპარსელი კი სამ სომეხს გააცურებს“. მოგზაურმა თბილისში ნახა სომეხი გენერლების ლაზარევისა და ლორის-მელიქოვის საფლავები. ამიტომ იგი აღნიშნავდა, რომ რუსეთში, ისე როგორც თურქეთში, ყველა ეროვნების ადამიანს, იმპერიაში ახლად შეყვანილ ხალხებსაც კი, შეეძლოთ ყველაზე მნიშვნელოვანი თანამდებობების მიღება: ყველას, გარდა ებრაელებისა.

საინტერესოა მორის რონდე-სენის ცნობა იმის შესახებ, რომ თბილისის სპარსულ ბაზარში (სავარაუდოს ის თათრის მოედანს გულისხმობს – ი.ნ.), სადაც ზოგიერთი საოცრება, ქსოვილები და ბეწვი იყო გამოფენილი, სპარსელი ვაჭარი თავის პატარა საანგარიშოზე თითოთ მარდად ითვლიდა მოგზაურის გადასახადს. ბნელი მაღაზიის ოდნავ ჭუჭყიან და ძალიან თვალწარმტაც კუთხეში მოგზაურმა კედელზე მიკრული მბზინავი საგანი შეამჩნია. იგი წერს: „ეს ტელეფონია! ამ ვაჭარს, როგორიც ის შეჰერაზადას (Shéhérazade)¹⁶ დროს იყო, აქვს ტელეფონი, რომელიც ჩვენთან ფუფუნების საგანია და მხოლოდ მსხვილი ფირმების ან მდიდარი ადამიანებისთვისაა განკუთვნილი. ხშირად შემინიშნავს, რომ მატერიალური პროგრესი შორს უფრო სწრაფად მიდის, ვიდრე იმ ქვეყნებში, სადაც ის შეიქმნა“.

ალფრედ მარტელისა და კლოდ ანეს მსგავსად, რონდე-სენიც დაინტერესდა, მართლა თუ ლაპარაკობდნენ თბილისში სამოცდაათ სხვადასხვა ენაზე, როგორც ამას თვის ბოლო ნაშრომში ჩემი მეგობარი ერნესტ არშდიკონი¹⁷, ამტკიცებდა. მისი ცნობით, ვაგონებში (ალბათ, ტრამვაის – ი. ნ.) მრავალენოვანი წარწერები იყო: რუსულად, თურქულად, სპარსულად, სომხურად, ქართულად და ზოგჯერ ბერძნულადაც. მაგრამ მან ყურადღება მიაქცია, რომ არ იყო წარწერები ფრანგულ ან გერმანულ ენებზე, თუმცა ამ ორი ენის სწავლება რუსეთში ძალიან გავრცელებული იყო. როგორც მას არწმუნებდნენ, ამ აკრძალვაში რუსეთის ხელისუფლების სურვილი ჩანდა, რომ დასავლური იდეები და შესაბამისად, მისი ენები იმპერიის კარიბჭის მიღმა დარჩენილიყო¹⁸.

ფრანგი ექიმის ცნობები თბილისის მოსახლეობის შესახებ (1917-1918 წწ.).

საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური ცვლილებების პერიოდში, 1917 წლის 8 აგვისტოს, თბილისში ფრანგი ექიმის, ლუი დარტიგის,

¹⁶ შეჰერაზადა – შუა საუკუნეების არაბული ზღაპრული მოთხრობების „ათას ერთი ღამის“ მთავარი გმირი.

¹⁷ ერნესტ არშდიკონი (1863-1950) – ფრანგი იურისტი და ავიაციის პიონერი პირველ მსოფლიო ომამდე. მისი ყველაზე მნიშვნელოვანი წვლილი ავიაციაში არის 1898 წელს მსოფლიოში უძველესი აეროკლუბის, Aeroclub de France-ის, დაარსება. 1908 წელს მან შეისწავლა ესპერანტო და 1910 წელს პარიზში გამოსცა წიგნი „რატომ გავხდი ესპერანტოზე მოლაპარაკე“ (*Pourquoi je suis devenu espérantiste*, Paris: Fayard, 1910), 1925 წელს კი ის Société Française pour la Propagation de l'Espéranto-ს პრეზიდენტად აირჩიეს და ამ საერთაშორისო ენას სიცოცხლის ბოლომდე იცავდა.

¹⁸ Maurice Rondet-Saint, *Aux confins de l'Europe et de l'Asie* (Paris: Plon, 1913), 162-163, 166-169, 173-174.

ხელმძღვანელობით საფრანგეთის ჯანდაცვის მისია ჩამოვიდა. მისი მიზანი „რუსეთის ნაკლებად სანდო ჯანდაცვის სამსახურის დახმარება“ და კავკასიის ფრონტზე დაჭრილი მებრძოლების მკურნალობა იყო.

ფრანგი ექიმის ცნობით, თბილისში ურთულესი დღეები 1917 წლის ნოემბერ-დეკემბერში და 1918 წლის იანვარში, თებერვალსა და მარტში იყო¹⁹. ქალაქში იყო ეთნიკური მეტოქეობა, დაპირისპირებული ინტერესები, დეზერტირობა და გერმანული პროპაგანდის მიერ ოსტატურად პროვოცირებული დაღვაწი. რუსეთის არმია აღარ არსებობდა, კავკასიის ფრონტი იქსაქსებოდა, ყველა საჯარო შენობაზე წითელი ღროშა ფრიალებდა. ფრონტზე მყოფი ნახევარი მილიონი ტავარისჩიზში და ბოლშევიზმში ჩაფლული კაცი ფრონტს ტოვებდა და რამდენიმე დღის განმავლობაში ეტაპობრივად გარბოდა თბილისთან მდებარე ნავთლუდის სადგურისკენ, რომელიც გადატვირთული იყო ემიგრანტებით მცირე აზიიდან; ქართული მოსახლეობა გადატაკებული და დეზორგანიზებული იყო, ვაჭარ და მრეწველ მდიდარ სომხებს თურქების გამარჯვების შემთხვევაში განადგურების ემინოდათ, თათრები იარაღდებოდნენ. დარტიგის დასკვნით, კავკასია იმათ ნებაზე იყო, ვისაც მისი აღება სურდა; იქ ტრიუმფით შეხვდებოდნენ რამდენიმე ფრანგულ ან ინგლისურ პოლკს. თავად გიორგი ორბელიანს²⁰, საქართველოს ძველი მეფეების შთამომავალს, რესპუბლიკელს, რომელიც დახასიათებულია როგორც შესანიშნავი ინტელექტისა და უნივერსალური ცოდნის მქონე კაცი, საქართველოს დამოუკიდებლობა საფრანგეთის პროტექტორატის ქვეშ სურდა. მისი ინტერვიუ Excelsior-ში²¹ დაიბეჭდა.

ლუი დარტიგის ცნობით, საფრანგეთის პრესტიჟმა ჯანდაცვის მისიას ყველაზე არისტოკრატიულ და პატივცემულ საზოგადოებაში გაუღო კარი, სადაც სრულყოფილად საუბრობდნენ ფრანგულად, რადგან თბილისის რუსული, ქართული, სომხური თუ თათრული მაღალი საზოგადოების მრავალ გამორჩეულ პიროვნებას განათლება საფრანგეთში ჰქონდა მიღებული. მათ მიერ გამართულ წვეულებებზე, სადაც რუსები, უკრაინელები, ბელორუსები, ბელგიელები, ფრანგები, ინგლისელები, ამერიკელები და სხვანი იყრიდნენ თავს, კეთილგანწყობილი კოსმოპოლიტიზმი სუფევდა. ექიმის თქმით, ცივილიზებული ჩვევების, დახვეწილობისა და ურთიერთგაგების ფონზე ეს ერთგვარი ერთა ლიგა

¹⁹ კავკასიის ფრონტი (24.10.1914 – 30.10.1918) – შეიარაღებული კონფლიქტი ოსმალეთის იმპერიასა და რუსეთის იმპერიას შორის. სამხედრო კამპანიაში მოგვიანებით ჩაერთო აზერბაიჯანი, სომხეთი, ცენტრალური კასპიის დიქტატურა და ბრიტანეთის იმპერია. კავკასიის კამპანია მიმდინარეობდა სამხრეთ კავკასიაში, სომხეთის მთიანეთში, ტრაპიზონში, ბითლისში, მუშსა და ვანში. რუსეთის კავკასიის არმია ბოლშევიკური აგიტაციის შედეგად უმართავ ძალად იქცა. 1918 წლის იანვარში კავკასიის ფრონტზე განლაგებული არმიის ნაწილებმა ფრონტის ხაზები მიატოვეს და თბილისისკენ დაიძრნენ. საქართველოს ეროვნულმა საბჭომ, ახალშექმნილმა ქართულმა რეგულარულმა ჯარმა (პირველმა ქართულმა კორპუსმა) და სახალხო გვარდიის ნაწილებმა შეძლეს რუსეთის არმიის შეჩერება.

²⁰ გიორგი ორბელიანი (1853-1924) – რუსეთის არმიის გენერალი. გრიგოლ ორბელიანის ძმის, ილია ზურაბის (დიმიტრის) ძე ორბელიანისა და ბარბარე ბაგრატიონ-გრუზინსკაიას ვაჟი.

²¹ „Excelsior“ – ყოველდღიური ფრანგული გაზეთი, გამოდიოდა 1910-1940 წლებში. უპირატესობას ყოველდღიურ ინფორმაციას ანიჭებდა ფოტო ილუსტრაციების დართვით.

იყო, სადაც, გერმანულის გარდა, ყველა ენაზე ლაპარაკობდნენ, ერთმანეთს კი ფრანგულად ესაუბრებოდნენ.

საქართველოს ეროვნულ დღესასწაულზე, 1917 წლის 4 ოქტომბერს, ჰოსპიტლის მთელი შემადგენლობა მცხეთაში კირიონ II-ს²² აღსაყდრებას დაესწრო.

1917-1918 წლებში ფრანგულ ჰოსპიტალში მიიღეს ყველა, ვინც კი იმ პერიოდში თბილისზე გაიარა: კავკასიაში, სომხეთსა და მესოპოტამიაში სხვადასხვა მისიით მიმავალი ფრანგი ოფიცრები, კიევისა და ურმიის ჯანდაცვის მისიების წევრები, არზრუმიდან და ტრაპიზონიდან მომავალი ფრანგი ოფიცრები და ჯარისკაცები, 1915 წლის 15 იანვარს მარმარილოს ზღვაში შესვლისას ჩაძირული ფრანგული წყალქვეშა ნავიდან «Saphir» სიკვდილს გადარჩენილი მეზღვაურები, ბელგიელი, ინგლისელი, რუმინელი, სირიელები, სპარსელი, შოტლანდიელი, ირლანდიელი, ამერიკელი, პოლონელი, სერბი, შვეიცარიელი და ბერძენი სამხედრო პირები.

ლუი დარტიგის თხზულებაში მრავალი გვერდი ეთმობა ცნობებს ქართული, სომხური და რუსული თავადაზნაურობის წარმომადგენლების, ორმოცდახუთი ექიმის (რომელთა შორის თვრამეტი ქალი იყო, სამი კი ქართველი – ვახტანგ ღამბაშიძე, მაღალოვი და მერკვილაძე), თვრამეტი გენერლის (მათ შორის ხუთი ქართველი იყო – მდივანი, თარხანოვი, არჯევანიძე, მაყავეი, გაბავეი) და ჩვიდმეტი პოლკოვნიკის (მათ შორის შვიდი ქართველი იყო – გურამოვი, ერისთავი, მუხრანსკი, ამილახვარი, მდივანი, კარგარეთელი, ესაძე).

საფრანგეთის ჯანდაცვის მისიამ ქმედითი დახმარება გაუწია 1910 წელს ფრანგი მასწავლებლის, სენ-მარის, მიერ დაარსებულ თბილისის *Alliance Française*-ს ფრანგული ჯანდაცვის მისიის პროპაგანდის შედეგად, რამდენიმე დღეში მას 200-ზე მეტი წევრი – რუსი, ქართველი და სომეხი, შემატებოდა. მის პრეზიდენტად არჩეული იყო „საქართველოს უკანასკნელი მეფეების შთამომავალი“, პრინცესა ლიზა ორბელიანი²³.

მისიას მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა თბილისის ფრანგულ სათვისტომოსთან. ფრანგმა ქალებმა 1917 წლის 30 დეკემბერს ფრანგული ქირურგიის ჰოსპიტალს თავიანთი ხელით მოქარგული შესანიშნავი დროშა აჩუქეს. ამ კოლონიის წევრთაგან დარტიგი ასახელებს მაღამ ლუტს და მის ქალიშვილებს, რომელთა სახლში ფრანგულ-რუსული ოფისი იყო მოწყობილი; მაღამ მასიუს, რომელიც დედასავით უვლიდა ფრონტელ ჯარისკაცებს; მაღამ გრიესა და მაღამ ფანი შაიდერს, რომელთა წყალობით პარიზული ქალთა მოდის უმაღლესმა

²² კირიონ II, ერისკაცობაში გიორგი იერონიმეს ძე საძაგლიშვილი (1855-1918) – ქართველი ისტორიკოსი, სასულიერო და საზოგადო მოღვაწე. სრულიად საქართველოს პირველი კათოლიკოს-პატრიარქი ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ, 1917-1918 წლებში. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მიერ 2002 წელს წმინდანად იქნა შერაცხილი.

²³ ელისაბედ ორბელიანი (1870-1943) – ქართველი პოეტი და მთარგმნელი. მისი მამა, ირაკლი ბატონიშვილი, ალექსანდრე ბატონიშვილის ვაჟი და ერეკლე II-ის შვილიშვილი იყო. მისი დედა, თამარი, დავით ჭავჭავაძისა და გიორგი XII-ის შვილიშვილის, რუსეთის სამეფო კარის ფრეილინას, ანა ელიზბარის ასულ ბაგრატიონ-გრუზინსკაიას ქალიშვილი იყო. 23] ელისაბედ ორბელიანის მეუღლე იყო მეუღლე იყო მამუკა ივანეს ძე ორბელიანი (1873-1924), ქართული ღრუჟინის ერთ-ერთი ორგანიზატორი.

ელეგანტურობამ კავკასიაშიც დიდ წარმატებას მიაღწია; ბატონ ტოლეს²⁴ – თბილისელი ფრანგების მამასახლისის, ბატონ ბერლემონს – საკონსულოს მდივანს, ბატონ ბერნეს – „პეტროგრადის გაზეთის“²⁵ კორესპონდენტს, ბატონ ლეონს – მამაც ოკერნელს, რომელმაც დარტიგს ჩამოსვლისთანავე მიაწოდა მეტად საჭირო ცნობები და რომელიც თავის შესანიშნავ რესტორანში სათანადოდ წარადგენდა უბადლო ფრანგულ სამზარეულოს: დარტიგი მას თბილისის ვატელს²⁶ უწოდებს; ლეიტენანტ მორისის ოჯახს, კაპრალ დიუმას, ბატონ ლოზანს – „ალიანს ფრანსეზის“ ახლად დანიშნულ მდივანს, რომელიც „თავისი ხუთი თითივით“ იცნობდა კავკასიას.

დარტიგის ცნობით, თბილისში იყო პატარა შვეიცარიული სათვისტომო, რომლის წევრების უმეტესობა განათლების სფეროში იყო დასაქმებული და ქალაქის გიმნაზიებში ფრანგულ ენას ასწავლიდა. მათ შორის დასახელებულია ბატონი დუდანი, განათლებული და გამორჩეული კაცი, რომელსაც ფრანგი ცოლი ჰყავდა. თბილისში იყო მეტად მეგობრული ინგლისური კოლონია, რომელსაც ქალაქში თავისი კლუბი ჰქონდა²⁷.

ქართველ პოლიტიკოსთაგან დარტიგი ასახელებს მხოლოდ ქალაქის მერს, ბატონ ელიავას²⁸, რომელსაც საფრანგეთის სახელით შესთავაზა ქალაქის მეურვეობის ქვეშ ყველა აუცილებელი მასალა პატარა ფრანგული ჰოსპიტლის ან დიდ საავადმყოფოში ერთი განყოფილების შესაქმნელად, სადაც შენარჩუნდებოდა საფრანგეთის ტრიკოლორი, რომელიც საფრანგეთის ჯანდაცვის მისიისთვის გამოყოფილ, თბილისის დასავლეთ ნაწილში, მტკვრის მარცხენა ნაპირზე, ვერის ხიდთან²⁹ მდებარე, ყოფილ ლაზარეთ №392-ზე – „კავკასიის ფრანგულ ქირურგიულ ჰოსპიტალზე“ (Hôpital chirurgical français du Caucase) ფრიალებდა.

1818 წლის 11 მაისს ლუი დარტიგმა ფრანგული ჰოსპიტალი - ქალაქის ჯანდაცვის განყოფილებას, ბიბლიოთეკა კი საქართველოს უნივერსიტეტს გადასცა. საფრანგეთის ჯანდაცვის მისია თბილისში 1917 წლის აგვისტოდან 9 თვის განმავლობაში მსახურობდა და იქიდან 1918 წლის 15 მაისს, 26 მაისს საქართველოს რესპუბლიკის გამოცხადებამდე 11 დღით ადრე, გაემგზავრა

²⁴ ბათუმში სანაოსნო კომპანიის თანამშრომლის, ტოლეს ცნობით, ცოტა ხნის წინ 99 წლის ასაკში გარდაცვლილი მისი ბებია ლეგენდარული ფიგურა ყოფილა. ერთი კაცის დახმარებით იგი სულ ახალგაზრდა ჯერ ბათუმში, იქიდან კი თბილისში ჩასულა, სადაც ის ჯერ მასწავლებლად მსახურობდა, შემდეგ კი მოდებისა და სიახლეების პირველი მაღაზია გაუხსნია (Rohan, Les dévoilées du Caucase, 247, 252).

²⁵ 1917 წლის მარტიდან ნოემბრამდე გაზეთი „პეტროგრადის გაზეთი“ დროებით მთავრობას უჭერდა მხარს.

²⁶ შვეიცარიელი ფრანგი ფრანსუა ვატელი (1631-1671) ჯერ ნიკოლა ფუკეს, შემდეგ კი პრინც კონდეს (1621-1686) კარის მეტრდოტელი იყო. იგი კეიტერინგის (ინგ.catering) – საზოგადოებრივი კვების დამაარსებლად ითვლება.

²⁷ Louis Dartigues, *La Mission Sanitaire Chirurgicale Française du Caucase (1^{er} Juillet 1917- 13 Juillet 1918)*. 45 Figures originales (Paris, A. Maloine & Fils, Editeurs, 1919), 24-27, 32, 36, 87-88, 94, 101-102, 107-109, 112.

²⁸ ნიკოლოზ ელიავა (1876-1937) – იურისტი და პოლიტიკოსი, 1918 წლიდან 1919 წლის მარტამდე თბილისის მერი იყო.

²⁹ ვერის ხიდს უწოდებდნენ აგრეთვე მტკვარზე გადებულ ხიდს, რომელსაც შემდგომში ელბაქიდისა შეარქვეს (კვირკველია, *ძველთბილისური დასახელებანი*, 15).

სამშობლოსკენ. მისი ცნობით, 16 მაისს, თბილისიდან მისიის გამგზავრების მეორე დღესვე, იქ შევიდა საზეიმო უნიფორმაში გამოწყობილი კაიზერის გერმანელი კაპიტანი³⁰ შინაგან საქმეთა მინისტრის, რამიშვილის³¹, თანხლებით. ქართველებს, რომლებმაც მიიღეს გერმანელების მეურვეობა, მაგრამ ჯერ კიდევ არ იცოდნენ მისი სიმძიმის ძალა, კაპიტანმა საავადმყოფოს დასაცვლელად 24 საათი მისცა.

ბრიტანეთის დაზვერვის ოფიცრის ცნობები თბილისის მოსახლეობის შესახებ (1919 წ.).

დიდი ბრიტანეთის დაზვერვის ოფიცერი, სპორტსმენი და პიონერი ავიატორი, პოლკოვნიკი სერ ალფრედ „ტობი“ როულინსონი თბილისში 1919 წლის თებერვლიდან სექტემბრამდე მსახურობდა. მისი თქმით, რევოლუციამდე საქართველოში იყო მდიდარი, განათლებული მემამულე არისტოკრატია და დახვეწილი, სტუმართმოყვარე ხალხი. მაგრამ მათი ბედი ტრაგიკული აღმოჩნდა, რადგან მიწის ძველ მფლობელებს ფული აღარ ჰქონდათ და ისინი პირადი ნივთების გაყიდვით ცხოვრობდნენ, პრინცესები კი თავიანთი მშობლებისა თუ შვილების სარჩენად მოახლეუბად მსახურობდნენ ან სიამოვნებით თანხმდებოდნენ ნებისმიერ სამუშაოს. ამასთან, ქართველი კეთილშობილები იმდენად ამაყები იყვნენ, რომ ინგლისელებისგან არავითარ დახმარებას, ცეცხლის დასაანთებად შეშასაც კი, არ იღებდნენ. მათ მდგომარეობას პოლკოვნიკი საფრანგეთის რევოლუციის დროინდელ ვითარებას ადარებს, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ საქართველოში არისტოკრატებს არ ან არც ისე ხშირად კლავდნენ, ხალხი კი მხოლოდ იმით კმაყოფილდებოდა, რომ ისინი მიმშილობდნენ.

მისი თქმით, ქართველები სრულიად განსაკუთრებული ხალხი იყო – იმჟამად მათ ჰქონდათ ის, რასაც სიამოვნებით უწოდებდნენ ჯარს, რომელიც კავალერიის, არტილერიისა და ქვეითი ჯარის მცირე და უმნიშვნელო რაზმებისგან შედგებოდა. მათი ოფიცრები ქალაქში პატრონტაშებით³² დაფარული ბრწყინვალე მუნდირებით, ინკრუსტირებული ხანჯლებითა და პისტოლეტებით, წელში ძალიან ვიწრო გრძელ კალთიანი სამოსითა და ასრტახანული კრაველის ქუდებით დადიოდნენ³³.

ბრიტანელი ჟურნალისტის ცნობები თბილისის მოსახლეობის შესახებ (1919 წ.).

1919 წლის ნოემბერ-დეკემბერში თბილისში მყოფი ბრიტანელი ჟურნალისტი, კარლ ერიკ ბექჰოფერ რობერტსიცი შეეხო ქართველების სამხედრო შესაძლებლობებს. ქართული ჯარის შესახებ მის მიერ ნოე რამიშვილისგან

³⁰ როგორც ჩანს, ლუი დარტიგი გულისხმობს კაპიტან იენო ფონ ეგან-კრიგერს, 1918 წელს გერმანული სამხედრო მისიის ხელმძღვანელს საქართველოში.

³¹ ნოე რამიშვილი (1881-1930) – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პირველი თავმჯდომარე. 1918 წლის 22 აპრილს დაინიშნა ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრად.

³² ვაზნების სატარებელი. ძირითადად ტყავისაგან მზადდებოდა და მხარილღივ იკიდებოდა.

³³ Alfred Rawlinson, *Adventures In The Near East 1918-1922/1923* (London, By Jonathan Cape, 1923), 123, 125-126.

მიღებული ინფორმაციის თანახმად, შემოღებული იყო სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევა. 21 წლის ასაკიდან სავალდებულო სამხედრო სამსახურის ვადა ქვეითებისა და კავალერიისტებისთვის – 16, არტილერიისტებისა და სამხედრო ინჟინრებისთვის 20 თვე იყო. მშვიდობიან დროს ქართულ არმიაში 16,000 ადამიანი იყო, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა 150,000-200,000 გაწვრთნილი კაცის გამოყვანა. მაგრამ რამიშვილმა არავითარი ინფორმაცია არ მისცა ჯარის შეიარაღებისა და აღჭურვილობის შესახებ, რაც მთავრობის სხვა წევრებისგანაც საიდუმლოდ იყო დაცული. რობერტის მეთვასებით, ქართველებს სერიოზული საბრძოლო ძალა არ ჰყავდათ.

რობერტის თქმით, ზოგიერთი დამახასიათებელი ნიშნის მიხედვით, საქართველო ძველ დროსთან შედარებით დიდად არ შეცვლილიყო, თბილისი კი მუდამ ცოცხალი ქალაქი იყო: ერთ საღამოს ინგლისელ ოფიცერთან ერთად ოპერიდან დაბრუნებულ ჟურნალისტს სასტუმროდან საშინელი ხმაური შემოესმა. რესტორანში თეფშებითა და ბოთლებით სავსე გრძელ მაგიდასთან ყველა ფენის, ასაკისა და გარეგნობის ორმოცდაათი-სამოციოდე ქართველი მამაკაცი იჯდა. ისინი საქართველოს მევენახეთა კოოპერატივის ასოციაციის ოცდამეხუთე წლისთავს აღნიშნავდნენ. ოთახის ბოლოს განთავსებული ორკესტრის – დოლის, სალამურისა და დუდუკის ხმაურიან ჰანგებზე სამი მათგანი ქართულ ცეკვას ასრულებდა. ინგლისელი ჟურნალისტი აღნიშნავს, რომ ქართველს მცირედი საბაბითაც უყვარდა ცეკვა და მეგობრების აპლოდისმენტების მოსმენა. რობერტისა და მისი თანმხლებების დანახვაზე ორკესტრი გაჩუმდა და ფორტეპიანოზე ჯერ “Tipperary”³⁴ დაუკრეს, რომელიც ბრიტანეთის ეროვნული ჰიმნის ფუნქციას ასრულებდა, შემდეგ კი “Who Were You With Last Night?”³⁵. მომდევნო საღამოს რობერტი ქალაქის მთავარ კაფეში საქართველოს მთავრობის პროკურორის თანაშემწის მიერ შესანიშნავად შესრულებულ საღამო სიმღერებს შეესწრო. ამ ამბების გამო იგი წერს: „შვებით ვიგრძენი, რომ ეს უფრო ჰგავს ნამდვილ საქართველოს“.

რობერტის სხვა ცნობით, ბოლო წლებში თბილისში პეტროგრადიდან და მოსკოვიდან ჩამოსული პოეტები, მხატვრები, მოცეკვავეები, მომღერლები, მსახიობები და ფილოსოფოსები იყრიდნენ თავს. მათ შორის იგი ასახელებს სორინსა³⁶ და სულეიკინს³⁷. თბილისის მთავარ პროსპექტზე მდებარე კაფე „ინტერნაციონალში“ გამართული ერთ-ერთი ვახშმის შემდეგ ახალგაზრდა ქართველი პოეტების ლიდერი პაოლო იაშვილი (1894-1937) სკამზე დამდგარა და ხმამაღლა უთქვამს: „მსოფლიო კულტურის ცენტრი თბილისია და არა პარიზი“.

³⁴ “It’s a Long Way to Tipperary” („ტიპერერიმდე გრძელი გზაა“) – ბრიტანული არმიის მარშის სიმღერა. შეიქმნა 1912 წელს. ომის დროს ეს სიმღერა ძალიან პოპულარული იყო მოკავშირეებს შორის.

³⁵ “Who Were You With Last Night?” („ვისთან ერთად იყავი წუხელ?“) ეს სიმღერა აგრეთვე 1912 წელს დაიწერა და პირველი მსოფლიო ომის დროს ისიც ძლიერ პოპულარული იყო.

³⁶ საველი აბრამის ძე სორინი (1878-1953) – ბელორუსი, ფრანგი და ამერიკელი პორტრეტისტი მხატვარი.

³⁷ სერგეი სულეიკინი (1882-1946) – თეატრის მხატვარი, გრაფიკოსი, ავანგარდისტი. 1919 წლის აპრილში გადმოსახლდა თბილისში, სადაც მოხატა ლიტერატურული კაფე „ქიმიური“. ამჟამად შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის გარდერობი, და „არგონავტების ნავი“ – 1918 წელს გახსნილი პოპულარული ბოჰემური ტიპის სტუდია, დღეს ოფიცრების სახლის სარდაფი.

რობერტის თქმით, იაშვილს, „ჩინებულ ბიჭსა და შუალამის თბილისის მეფეს“, მიწისქვეშა კაბარე „ქიმერიონშიც“ შეხვდებოდი, რომლის უზარმაზარი დარბაზი პეტროგრაფელ მოდერნისტ მხატვარ სერგეი სუდეიკინს მოეხატა. იქ ისმოდა ბოშური სიმღერები, რეგტიმი³⁸ ამერიკელი ზანგების შესრულებით, რომლებიც, რობერტის თქმით, ღმერთმა უწყოდა იქ როგორ მოხვდნენო, მოცეკვავე ლილია ჯონსონს³⁹ კი ერთ თვეში მოეხიბლა მთელი თბილისი.

ინგლისელმა ჟურნალისტმა „ქიმერიონში“ გაიცნო გიორგი გურჯიევი⁴⁰, რომლის შესახებ პირველი ცნობები ინგლისურ ენაზე სწორედ მის წიგნშია მოცემული. რობერტის თქმით, გურჯიევს, როგორც სამყაროს მარადიული საიდუმლოებების გზამკვლევეს, ყველა აფასებდა და ლამის თაყვანს სცემდა. იგი ინგლისელ ჟურნალისტს ნაკლებად ცნობილ ქართულ და სპარსულ რესტორნებს აცნობდა, რომელთაგან ერთ-ერთი მიწისქვეშა „მარანი“ იყო. მოგზაური მასთან ერთად ესტუმრა თბილისის ცნობილ აბანოსაც, სადაც მათ წვერიანი სპარსელი მეაბანოე ემსახურებოდა⁴¹.

ფრანგი პედაგოგის ცნობები თბილისის სასწავლო დაწესებულებების შესახებ (1925 წ.)

1925 წლის აგვისტოსა და სექტემბერში ფრანგმა პედაგოგმა და მწერალმა მორის ვულენსმა რუსეთის განათლების მუშაკთა პროფკავშირის მიწვევით ევროპელი დელეგატების მეორე ჯგუფთან ერთად ჯერ ლენინგრადისა და მოსკოვის, 17-20 სექტემბერს კი თბილისის სასწავლო დაწესებულებები დაათვალიერა. ამას გარდა, დელეგატები თბილისში ეწვივნენ ზაჰესს, აბანოს, ბაზარს საქართველოს ისტორიისა და ბუნების ცენტრალურ მუზეუმს და ოპერის თეატრს, სადაც დელეგაციის წევრებმა ქართველ მოსწავლეებთან და პედაგოგებთან ერთად „ინტერნაციონალი“ იმღერეს. საქართველოში არსებულ პოლიტიკური ცვლილება მუსიკასაც შეეხო.

მორის ვულენსი თბილისის ეთნიკურ შემადგენლობას სკოლებში ენების სწავლების მიხედვით გვაცნობს. იგი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ საქართველოში, სადაც თითქმის მთელი მოსახლეობა დაახლოებით 2,5 მლნ სული⁴² ძირითადად ქართულად ლაპარაკობდა, ამ ენას ენიჭებოდა უპირატესობა. მისი თქმით,

³⁸ რეგტიმი (Rag-time) – მუსიკალური სტილი, რომელიც 1890-1910-იან წლებში იყო განსაკუთრებით პოპულარული.

³⁹ ლილია აბრამოვიჩი (1896-1969) – რუსი მოცეკვავე, მომღერალი და მსახიობი. 1914 წელს ინგლისელ მოცეკვავესა და მსახიობთან ალბერტ ჯონსონთან ქორწინების შემდეგ მისი გვარი მიიღო.

⁴⁰ გიორგი ივანეს ძე გურჯიევი (1866-1877-1949) – ფილოსოფოსი და მისტიკოსი. მისი მამა, ივანე გურჯიევი ბერძენი, დედა – სომეხი თავრიზოვ-ბაგრატიუნის ოჯახიდან იყო.

⁴¹ Carl Eric Bechhofer Roberts, *In Denikin's Russia and the Caucasus, 1919-1920: Being a Record of a Journey to South Russia, the Crimea, Armenia, Georgia, and Baku in 1919 and 1920* (London, Published by: W. Collins sons &, 1921), ix, 52, 58, 62-67, 69.

⁴² 1927 წლის მონაცემების მიხედვით, 1926 წელს საქართველოს მოსახლეობა 2.641.387 სულს, თბილისის მოსახლეობა კი 282.918 სული იყო და ბევრად აღემატებოდა სომხურ მოსახლეობას, რაც საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან ჩამოსული ადამიანების თბილისში დასახლებულად ჩამოსვლამ განაპირობა (ა. რუხაძე, *საქართველოს მოსახლეობა 1926 წ. 17დეკემბრის აღწერით. მე-2 გამოცემა (შესწორებული 1927 წ. 15 მარტისათვის)*, საქართველოს სტატისტიკის ცენტრალური სამმართველო, 1927, 10, 13).

„ცარიზმის დროს აკრძალული და მენშევიკების მიერ თეორიულად აღდგენილი ქართული ენა⁴³ ბოლშევიკური რევოლუციის შემდეგ კვლავ ქვეყნის ოფიციალური ენა იყო“. სკოლებში მეცადინეობა ქართულ ენაზე მიმდინარეობდა, რუსული და გერმანული კი როგორც უცხო ენა, ისე ისწავლებოდა. თბილისში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობებისთვის სკოლებში სწავლება სომხურ, თურქულ (1936 წლამდე აზერბაიჯანულად წოდებულ ენას უმართებულოდ „თათრულ ენას“ უწოდებდნენ – ი. ნ.) და ბერძნულ ენებზე მიმდინარეობდა. მორის ვულენსის თხზულებას ერთვის ფოტომასალა და რამდენიმე ილუსტრაცია, რომელთა შორის არის ქართველი მოსწავლის, ნ. არონიშვილის, რვეულიდან გადაღებული ორი ნახატი.

ქართული ენის ცოდნის მნიშვნელობას ვულენსის შემდეგი ცნობაც მოწმობს. თბილისის სასწავლებლების პროფკავშირულ ორგანიზაციაში „ძველი რეჟიმის ბურჟუაზიული ოჯახის წარმომადგენელი“ მბეჭდავად მომუშავე ახალგაზრდა ქალი, რომელსაც განათლება სმოლნიში⁴⁴, იურიდიული ცოდნა კი პარიზში ჰქონდა მიღებული, საბჭოთა ხელისუფლების მომხრე იყო. იგი შიშობდა, რომ პროფკავშირში მისი მუშაობა დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა, რადგან მან მხოლოდ რუსული, თურქული და ფრანგული იცოდა, ქართულის არცოდნის გამო კი სამუშაოდ მოწყობა შეუძლებელი იყო.

საინტერესოა მორის ვულენსის ცნობით, ფრანგული კოლონიის ერთ-ერთი წარმომადგენელი, ბერძენ ომერზე (Homère) გათხოვილი მარსელელი ქალი, თბილისის ცენტში მდებარე საკონდიტრო-კაფეს ოც წელზე მეტი ხნის განმავლობაში მართავდა. იგი უკმაყოფილო იყო, რადგან მისი 10 წლის ვაჟს სკოლაში არ იღებდნენ, რადგან მისი მამა პროფკავშირის წევრი არ იყო⁴⁵.

ფრანგი პედაგოგი გვაწვდის ინფორმაციას 1924 წლის აჯანყების შემდეგ ქართველ თავადაზნაურობის წინააღმდეგ განხორციელებული რეპრესიების შესახებ. მის კითხვებზე, თუ რას ფიქრობდა ფრანგი ქალი მთავრობის, რევოლუციისა და არსებული ვითარების შესახებ, იგი ხმადაბლა, ტირილნარევი ხმით ამბობდა: „ოჰ! ბატონო! იმდენი ხოცვა-ჟლეტა იყო. ეს საშინელებაა. პრინციები, სამეფო ოჯახის მეტად სასიამოვნო პრინციები აქ ხშირად მოდიოდნენ ყავის დასალევად. დიახ, დიახ, აი, ამ თავაზიან პრინციებს ერთ ღამეს მიაკითხეს, მთებში წაიყვანეს და მათ შესახებ მეტი არაფერი გაგვიგია“. იგი უკმაყოფილო იყო მთავრობით, რადგან მისი ძველი მუდმივი კლიენტები ან ქვეყნიდან იყვნენ

⁴³ „1918 წლის შემოდგომიდან თბილისში სკოლათა დიდი ნაწილში სწავლება უკვე ქართულ ენაზე მიმდინარეობდა. მუშაობდა ეთნიკური უმცირესობების – სომხური, აზერბაიჯანული და რუსული სკოლებიც, სადაც სწავლება მათ მშობლიურ ენებზე წარიმართებოდა“ (ირაკლი ირემაძე, „დემოკრატია სოციალურის ინერციით – რესპუბლიკა ახალი სკოლის შენებაში“. <https://civil.ge/ka/archives/249198> (15.08.2018))

⁴⁴ სმოლნის კეთილმოხილ ქალთა ინსტიტუტი დაარსდა 1764 წელს და იარსება 1917 წლის ოქტომბრამდე, განთავსებული იყო სანკტ-პეტერბურგში, სმოლნის შენობაში.

⁴⁵ საფრანგეთში გამგზავრებამდე, ევროპელი პედაგოგები ანატოლი ლუნაჩარსკის – 1917-1929 წლებში განათლების პირველ სახალხო კომისარს შეხვდნენ. ვულენსმა მას თბილისში მარსელელი ბავშვის შესახებ უამბო. კომისარის თქმით, მათ ჯერ ვერ მიეღწიათ სრული სამართლიანობისათვის, მაგრამ როდესაც სკოლებში არ იყო საკმარისი ადგილები, უფასოდ მოკრძალებული შემოსავლის მქონე მეუზოვის შვილის მიღება იყო უმჯობესი და არა კომერსანტისა, რომელსაც უეჭველად ექნებოდა ბავშვისთვის კერძოდ სწავლების საშუალება.

წასული, ან გარეთ ადარ გამოდიოდნენ⁴⁶, ხოლო ასე თუ გაგრძელდებოდა, კაფესაც მალე დახურავდა. მან მორის ვულენსს ომერის ოჯახის სალამის გადაცემა სთხოვა პარიზში, XVI უბანში, თეოფილ გოტიეს ქუჩა N 39-ში მცხოვრები ბატონი Ambachizzi-სთვის⁴⁷. სავარაუდოა, რომ იგულისხმება ლუი დარტიგის თხზულებაში მრავალგზის ნახსენები ქართველი ექიმი და პოლიტიკური მოღვაწე, ვახტანგ დამბაშიძე, რომელიც პარიზში 1924 წლიდან დასახლდა.

დასკვნა

ამგვარად, XX საუკუნის პირველ მეოთხედში, პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე თბილისში ჩამოსული მოგზაურები – ალფრედ მარტელი, კლოდ ანე, ერმინი დე როანი, მორის რონდე-სენი, მოსახლეობის ეთნორელიგიურ შემადგენლობას ქალაქში სალაპარაკო ენების მიხედვით გვაცნობენ. მათი ცნობებიდან ჩანს, რომ ე.წ. ძველი თბილისის ქუჩებსა და ბაზრებში კვლავ ჩანდნენ ჩრდილოთ კავკასიელები და სპარსელები.

1917-1918 წლებში თბილისში ცხრა თვის განმავლობაში მყოფი ექიმი დარტიგის ცნობებიდან ჩანს, რომ კავკასიის ფრონტის რღვევის გამო თბილისი მნიშვნელოვანი სატრანზიტო ცენტრი იყო და იმჟამად ქალაქში იმდენი სხვადასხვა ეროვნების ხალხი ირეოდა, როგორც ეს სხვა დროს არ ყოფილა. აღსანიშნავია, რომ თბილისის ქართულ, სომხურ, რუსულ და თათრულ განათლებულ საზოგადოებასთან კომუნიკაციის ენა ფრანგული იყო. საინტერესოა მისი ცნობა იმის შესახებაც, რომ ფრანგული კოლონიის გარდა, თბილისში შვეიცარიელების მცირერიცხოვანი სათვისტომოც იყო, მაგრამ პოლიტიკური კონიუნქტურიდან გამომდინარე დარტიგი საერთოდ არ ახსენებს თბილისის გერმანულ კოლონიას.

1919 წელს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროს, თბილისში მყოფი პოლკოვნიკი როულინსონი ქართველი თავადაზნაურობის მძიმე ყოფას, ჟურნალისტი რობერტსი კი თბილისის ბოჰემურ ცხოვრებას აღწერს. ორივე ინგლისელი აღნიშნავს საქართველოს ჯარის სისუსტეს.

თბილისში 1925 წელს ჩამოსული მორის ვულენსი ეხება თბილისში განათლების საკითხს და ხაზს უსვამს ქართული ენის ცოდნის მნიშვნელობას, აგრეთვე გადმოგვცემს 1924 წლის აჯანყების შემდეგ ქართველი თავადაზნაურობის მიმართ განხორციელებული რეპრესიების შესახებ.

დამოწმებული ლიტერატურა - Rereferences

ირემაძე, ირაკლი. “დემოკრატია სოციალურის ინერციით – რესპუბლიკა ახალი სკოლის შენებაში”. <https://civil.ge/ka/archives/249198> (15.08.2018)
კვირკველია თენგიზი. *ძველთბილისური დასახელებანი*. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1985.

⁴⁶ მაღამ ომერის ამ ცნობებში 1924 წლის აჯანყების დამარცხების შემდეგ მიმდინარე მასშტაბური რეპრესიები უნდა იგულისხმებოდეს.

⁴⁷ Maurice Wullens, *Paris, Moscou, Tiflis: notes et souvenirs d'un voyage à travers la Russie soviétique*; préface de Henri Guilbeaux, (Éditions de la revue littéraire des Primaires: “Les Humbles”, 1927), 146, 166, 175, 205.

- რუხაძე, ა. საქართველოს მოსახლეობა 1926 წ. 17 დეკემბრის აღწერით. მე-2 გამოცემა (შესწორებული 1927 წ. 15 მარტისათვის). საქართველოს სტატისტიკის ცენტრალური სამმართველო. 1927, 10, 13).
- ჯაოშვილი ვახტანგი. საქართველოს მოსახლეობა XVIII-XX საუკუნეებში. დემოგრაფიულ-გეოგრაფიული გამოკვლევა. თბილისი: „მეცნიერება“, 1984.
- ჰენრი ნორმანის ცნობები საქართველოს და კავკასიის შესახებ. ინგლისურიდან თარგმნა ნათია მეჩითიშვილმა, რედაქტორი გიორგი სორდია. <https://www.academia.edu/40780334>
- Anet, Claude. *Les Roses d'Ispahan – La Perse en automobile à travers la Russie et la Caucase. A la princesse Georges Valentin Bibesco et à Madame Michel Charles Phérékyde je dédie respectueusement le récit d'un voyage dont elles ont partagé avec moi, et ennobli, les émotions.* Paris: Société d'Édition et de Publication, Librairie Félix Juven, 1907.
- Dartigues, Louis. *La Mission Sanitaire Chirurgicale Française du Caucase (1^{er} Juillet 1917-13 Juillet 1918). 45 Figures originales.* Paris: A. Maloine & Fils, Editeurs, 1919).
- Martel, Edouard-Alfred. *La côte d'Azur russe (Riviera du Caucase). Voyage en Russie méridionale, au Caucase occidental et en Transcaucasie (Mission du gouvernement russe, 1903).* 388 Gravures, 34 planches et coupes et 1 cart en couleurs s'après les photographies et relevés de l'auteur. Paris: Librairie Ch. Delagrave, 1908, 236, 240.
- Norman, Sir Henry. *All the Russias; travels and studies in contemporary European Russia, Finland, Siberia, the Caucasus, & Central Asia.* London: William Heinemann, 1901.
- Rawlinson, Sir Alfred. *Adventures In The Near East 1918-1922/1923.* London: By Jonathan Cape, 1923.
- Roberts, Carl Eric Bechhofer. *In Denikin's Russia and the Caucasus, 1919-1920: Being a Record of a Journey to South Russia, the Crimea, Armenia, Georgia, and Baku in 1919 and 1920.* London: Published by: W. Collins sons &, 1921.
- Rohan, Herminie de. *Les Dévoilées du Caucase; Notes de Voyage. A Son Altesse, La Princesse Salomé Murat qui m'a fait ouvrir avec une grace sans pareille les portes de son modestes lignes merveilleux Caucase, je dédie ces modestes lignes.* Paris: S.d.
- Rondet-Saint, Maurice. *Aux confins de l'Europe et de l'Asie.* Paris: Plon, 1913.
- Wullens, Maurice. *Paris, Moscou, Tiflis: notes et souvenirs d'un voyage à travers la Russie soviétique; préface de Henri Guilbeaux.* Éditions de la revue littéraire des Primaires: “Les Humbles”, 1927.
- Цитович, Г. А. *Храмы армии и флота. Кавказский военный округ. Тифлис.* Пятигорск: Типо-литография А. П. Нагорова, 1913.